# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 29 დეკემბერი   1995 № 87 (225)   ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფრანს ფუტბოლმა“ თავისი გაიტანა



მოქალაქე გახლდათ. წლევანდელი ლაურეატი „მილანის“ 29 წლის ძოსამაშე ჯორჯ ოპონგ ვეა კი ლიბერიელია ამ სიტყვის ყველანაირი მნიშვნელობით. მაშ ასე, დაუშვა თუ არა „ფრანს ფუტბოლმა“ თავის გამოკითხვაში სხვა კონტინენტელთა მონაწილეობა, ევროპელმა ჟურნალისტებმა რეფერენდუმში სწორედ ასეთს გაამარჯვებინეს.

ასეთ შესავალს ევროპულ შოვინიზმად ნუ ჩამოგვართმევთ. მითუფრო, რომ მიუხედავად ოფიციალურად გაევროპელებისა, ქართველების ნაწილს თავი დღესაც ძირძველ აზიელად მიაჩნია. გარდა ამისა, „ბებერი კონტინენტის“ მარაქაში გუშინ გარეულებს უფლებაც არ გვაქვს დიდ ევროპელებს ჭკუა დავარიგოთ. ეგეც არ იყოს, ვეა ძალიან ძლიერი ფორვარდია და თავად „სარბიელმა“, მოგეხსენებათ, „ფრანს ფუტბოლისთვის“ გაგზავნილ მისეულ ვერსიაში მესამე კაცად დაასახელა, ასე რომ, აფრიკელს ჩვენი ქულებიც შეემატა. და მაინც, ალბათ კარგი იქნებოდა, „ფრანს ფუტბოლი“ კონსერვატორულ გამოცემად დარჩენილიყო და ევროპა ევროპელებისთვის დაეტოვებინა. ასე რომ მომხდარიყო, „ბაიერნის“ იურგენ კლინსმანი, რომელიც საერთოდაც დიდი მოთამაშეა, წლეულს კი უბრალოდ შეუდარებელი იყო, დამსახურებულად მიიღებდა „ოქროს ბურთს“. ახლა კი 108 ქულით მეორე ადგილზე გავიდა და „გვირგვინოსანს“, რომელმაც 144 დააგროვა, გვარიანად ჩამორჩა. მესამე ადგილზე 67 ქულით ამსტერდამის „აიაქსისა“ და ფინეთის ნაკრების თავდამსხმელი იარი ლიტმანენი გავიდა. შემდეგ მოდიან ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), პატრიკ კლუვერტი (აიაქსი), ჯანფრანკო ძოლა (პარმა), პაოლო მალდინი (მილანი) და სხვები, რომელთა ჩამონათვალსაც მომავალში შემოგთავაზებთ.

გამარჯვებულმა ჯორჯ ვეამ ინტერვიუ მისცა იტალიურ „გაძეტა დელო სპორტს“, სადაც განაცხადა, რომ მისი წარმატება ლიბერიელი ახალგაზრდებისთვის სამაგალითო იქნება.

- მე მინდა, მათ მაგალითი მივცე, დავანახო უკეთესი მომავალი, რათა მათ იარაღი დაჰყარონ და ძმათამკვლელ ომს ბოლო მოეღოს. 1989 წლის დეკემბრიდან წლევანდელ აგვისტომდე 150 ათასი ადამიანი დაიღუპა. ჩემს „ოქროს ბურთს“ ყველა მებრძოლ მხარეს ვუძღვნი. ეს ჯილდო მტერთა შერიგებას შეუწყობს ხელს, ჩემს ხალხს გააერთიანებს.

ინტერვიუში ვეა ევროპას და ევროპელებსაც აკრიტიკებს და ამბობს, რომ აქ რაიმეს მიღწევა ძალიან ძნელია.

- თუ თეთრკანიანი „მერსედესში“ ზის, იგი ბიზნესმენი ჰგონიათ, ხოლო თუ იმავე მანქანაში შავკანიანია, მყისვე ეჭვი უჩნდებათ, რომ იგი ნარკოტიკებით მოვაჭრეა. ეს აშკარა რასიზმია. ერთხელ მილანში პოლიციელმა გამაჩერა და მხოლოდ მაშინ მომიხადა ბოდიში, როდესაც შეიტყო, ვინ ვიყავი. ასეთი რამ პარიზშიც შემემთხვა.

ვეა, აფრიკის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, აწ უკვე ევროპის საუკეთესო ფეხბურთელიცაა და თუ 8 იანვარს მას, კლინსმანს და მალდინის შორის ფიფამაც იგი ირჩია, მსოფლიოს „მეუფეც“ გახდება.

პირველად ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ...ქროს ბურთი“ უცხო კონტინენტელმა მოიპოვა. ოპო...ნტებმა შესაძლოა თქვან, მართალი არ არის, პირველი ...დამთიელი“ ევროპის უძლიერესად 1965 წელს სცნე... კი ბატონო, ეუსებიოც აფრიკული წარმოშობის ...ხლდათ, იგი მოზამბიკელი იყო, მაგრამ პორტუგალი... ნაკრებში გამოდიოდა და ამ ევროპული ქვეყნის

# გიორგი ვაზაგაშვილი წლის საუკეთესო სპორტსმენი



საქართველოს 1995 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვით

1. გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) 358 ქულა

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე პრიზიორობა უდავოდ უდიდესი მიღწევაა საქართველოს წლევანდელ სპორტულ ცხოვრებაში. გიორგი, ფაქტიურად, მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა ტოკიოში, მაგრამ ფინალში ცალკე უნამუსო მსაჯობისა და ცალკე ქართული სპორტის უპატრონობის გამო გამარჯვება მის მეტოქეს მიეკუთვნა. რითაც ვაზაგაშვილს წაართვეს შანსი გამხდარიყო პირველი მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოდან. იმასაც დავძენთ, რომ ამგვარი ღირსეული და უეჭველი წლის საუკეთესოსპორტსმენი ბოლო წლებში საქართველო არა ჰყოლია.

2. დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) 256 ქულა

მავანმა შეიძლება დიდ წარმატებად არ ჩაუთვალოს ოლიმპიურ ჩემპიონს მსოფლიოს მესამე პრიზიორობა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ხახალეიშვილს სპორტისთვის დანებებული ჰქონდა თავი და ამ შედეგს მხოლოდ ორთვიანი ვარჯიშის შემდეგ მიაღწია.

3. ჯონდო მუზაშვილი (სამბო) 245 ქულა

მართალია, სამბო ოლიმპიური სახეობა არ არის და ვერც მისი ჩემპიონატი შეედრება ხუთი რგოლის ქვეშ გაერთიანებულ სპორტთა ანალოგიურ ასპარეზობებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა მაინც მსოფლიოს ჩემპიონობაა.

4. გიორგი ქინქლაძე (ფეხბურთი) 181 ქულა

ამ სპორტსმენს განსაკუთრებული წარსდგენა არ სჭირდება „სარბიელის“ მკითხველებისთვის. თუკი ვინმე იცნობს მსოფლიოში ქართულ ფეხბურთს, პირველ რიგში ქინქლაძის წყალობით.

5. მუხრან გოგია (ძალოსნობა) 170 ქულა

მუხრანმა ვერც ევროპის და ვერც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჭიდის ჯამში მედალი ვერ მოიპოვა, მაგრამ ქართულ სპორტს დიდი საქმე მაინც გაუკეთა. ჩინეთში, პლანეტის პირველობაზე აკვრაში მოპოვებულმა ბრინჯაომ და ორჭიდში დაკავებულმა მეოთხე ადგილმა ჩვენს ქვეყანას ძალოსნობაში ატლანტის ოლიმპიადის ხუთი ლიცენზია მოუტანა; ჯერჯერობით, სხვა სახეობებთან შედარებით ყველაზე მეტი.

6. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) 160 ქულა

კურტანიძემ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. სეზონი ისეთი რიხით რომ გაეგრძელებინა, როგორითაც დაიწყო, ვინძლო უფრო მაღალი ადგილიც დაეჭირა.

7. ჰიმალაის ექსპედიცია (ალპინიზმი) 132 ქულა

ამ ექსპედიციამ ჰიმალაის რვაათასიანი დჰაულაგირი დაიპყრო. და იგი პირველი „წმინდა ქართული“ გახლდათ და ამიტომაა უფრო მეტად დასაფასებელი. შეგახსენებთ, რომ ქართველები დჰაულაგირზე ჩვეულებრივი, კლასიკური მარშრუტით ავიდნენ. ეგაა, გაურკვეველია, რატომ დასახელდა საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში ოთხკაციანი გუნდი - ეს ხომ საუკეთესო გუნდის დასადგენი გამოკითხვა არ არის.

8. თემურ ქეცბაია (ფეხბურთი) 103 ქულა

ბევრი ქართველი სპორტსმენი ვერ დაიკვეხნის მისებრ სტაბილურად გამოსვლას მთელი წლის განმავლობაში. თანაც, თემური „ევროკარდ-მასტერკარდის“ ევროპული გამოკითხვის შედეგად საქართველოს ნაკრების საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

9. ივერი ჯიქურაული (ძიუდო) 67 ქულა

ცოტა არ იყოს, გასაკვირია ევროპის მეორე პრიზიორის ათეულის ფსკერზე აღმოჩენა. ზუსტად ამგვარი შედეგის მქონე სპორტსმენს გაცილებით მაღალი ადგილი უკავია, მაგრამ რას იზამ, გამოკითხვა - გამოკითხვაა.

10. ნინო ხურციძე (ჭადრაკი) 66 ქულა

ხურციძე 20 წლამდე მოჭადრაკეებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

# ...იორგი ...ემსაძე - ...ეესკაში?

...გაზეთ „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდე...მა ალიოშა ანდრონოვმა შეგვატყობინა, ...მ საქართველოს ეროვნული ნაკრების წე... გიორგი ნემსაძე კვირაზე მეტია მოსკოვ... და ცეესკასთან ერთად ვარჯიშობს. რუსმა ...ლეგამ ისიც გვითხრა, რომ არმიელთა ...ნდს ძალიან სურს ნემსაძის გადმობირება, ...ილა გუნდიდან მიდის რუსეთის უნიჭიერე... ფეხბურთელი ვლადისლავ რადიმოვი, რო...ლიც ალბათ „სარაგოსაში“ ითამაშებს, ცე...ას კი იგორ დობროვოლსკი უკვე შეუძენია ... დობროვოლსკი - ნემსაძის დუეტით ნახე...ღდაცვის შეკვრას ცდილობს. არმიელები ...ზეც ყაბულს არიან, რომ ნემსაძე მაისიდან ...რთონ ჩემპიონატში, როცა „ჰომბურგი“ პი...ელობას დაამთავრებს.





# ნება მიბოძეთ, ვეად დავრჩე

უმრავლესობა ვერ გაიგებს, რატომ. ამასწინათ, დეკემბრის თოვლიან შუადღეს, მილანელომში, „მილანის" საწვრთნელი ბაზის წინ, ავტოსადგომზე, გრძელ შავ ქურთუკსა და შარფში ჩაფუთნული ჟორჟ ვეა არემარეს თოვლისგან წმენდდა. მისი თანაგუნდელები კი ამ დროს, იქვე შენობაში, სითბოში ნებივრობდნენ და ტელევიზორს უცქერდნენ.

— რაც ვარ, იმად მინდა დავრჩე — განმარტა 29 წლის ლიბერიელმა. იტალიაში დიდი ამბავია. ვეამანიაზეც კი ალაპარაკდნენ. „მეფე ჟორჟს" „მილანის" სხვა დიდ თავდამსხმელს, ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენს ადარებენ. დასავლეთ აფრიკაში მდებარე სამშობლოში რომ ჩადის, ბრბო ჭკუას კარგავს, გარს ეხვევა და მის სახელს გაიძახის.

„ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვამდე ცოტა ხნით ადრე მან თქვა: „იმედი მაქვს, საუკეთესო გავხდები. თუ ასე მოხდა, კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ აფრიკა ტალანტებითაა სავსე".

ვეა ღრმადმორწმუნე მუსლიმია.

— ახლა, როდესაც ამდენ ჯილდოს და აღიარებას მივაღწიე, ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი გაკეთებაც შემიძლია, მუხლჩაუხრელი შრომის გაგრძელებაა. ასე, ხუთი წლის შემდეგ კი თამაშს თავს დავანებებ. არ მსურს ალარავინ მაფახებდეს, მე კი კვლავ ვთამაშობდე. ფეხბურთს ისეთ დროს უნდა შევეშვა, ხალხს რომ მოვენატრო — გულახდილობს ვეა, რომელსაც კარიერის დასრულება აშშ-ში ან იაპონიაში განუზრახავს. შემდეგ კი ლიბერიაში დაბრუნდება, სადაც სისხლიანი სამოქალაქო ომია. იგი ხალხისთვის გარჯაზე და მათ დახმარებაზე ოცნებობს.

მოედანზე კი:

— მილანში პირველად რომ ჩამოვიდა, შეკრებაზე ვიყავით. ვუცქერდი, როგორ დადიოდა წინ და უკან და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნუთუ ეს კაცი მართლა რაიმე ხეირის მომტანია-მეთქი — ჰყვება „მილანის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო.

პასუხმა არ დააყოვნა: იტალიის ლიგაში, პირველსავე შეხვედრაში, მეექვსე წუთზე აფრიკელმა გოლი შეაგდო. ის თამაში „მილანმა" „პადოვას" 2:1 მოუგო. მეორე გოლი კაპიტანმა ფრანკო ბარეზიმ გაიტანა; ვეას პასით.

რომში ორ იქაურ გუნდს „რომას" და „ლაციოს" კი ისეთი ბურთები გაუტანა, ადგილობრივმა გაზეთებმაც კი საოცარი ხოტბა შეასხეს.

— გარდა იმისა, რომ დიდებული ფეხბურთელია, დიდებული ადამიანიცაა —ამბობს მასზე ამაგდარი ბარეზი — საოცარია, რა მშვიდად ხვდება ნებისმიერ სიტუაციას. ვეა მეტად თავმდაბალი კაცია, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე საოცრებებს სჩადის და ყურადღების ცენტრშია.

ვეა ლიბერიის დედაქალაქ მონროვიის გარეუბანში დაიბადა, ცამეტშვილიან ღარიბ ოჯახში. მას მაინცდამაინც არ უყვარს თავისი ბიოგრაფიის დეტალებზე საუბარი, მაგრამ ყოველთვის ამბობს, რომ მის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა დედის მხრიდან ბებიამ, ემა ბრაუნმა. ეს ბებია ჟორჟს ადრეული ბავშვობიდან ზრდიდა. ათი წლისა, გარდა იმისა, რომ ქუჩებში ბურთს დასდევდა, კანფეტებსა და ბატი-ბუტს ყიდდა. ფეხბურთს კი მასთან ერთად თამაშობდა ჯო ნავბე, ახლა საფრანგეთის „ნიცაში" რომ გამოდის.

— ევროპის ფეხბურთს ტელევიზიით ვუყურებდით. უმეტესად ინგლისის პირველობის თამაშებს აჩვენებდნენ. ჩვენც ვოცნებობდით, რომ ერთ დღეს ამ კონტინენტის გუნდში ვითამაშებდით. ბურთს ქუჩებში დავდევდით. მანქანა რომ გამოივლიდა, გავატარებდით და მერე გავაგრძელებდით ხოლმე. ღამითაც ვთამაშობდით მანამ, სანამ დაღლისგან მუხლები არ მოგვეკვეთებოდა — იგონებს ვეა ბავშვობას.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, იგი „იანგ სრვაივორზ ოფ ულეპრთაუნში", „ბონგრენჯ კომპანიაში" და „მაითი ბეროლში" თამაშობდა, მოგვიანებით კი საზღვარგარეთ, კამერუნში გადავიდა, სადაც „ტონირ თაუნდში" დიდ როჟე მილას შეუერთდა. 1988 წელს შედგა პირველი დიდი გარიგება, ვეა „მონაკომ" შეიძინა, შემდეგ იყო დიდებული წლები „პარი სენ ჟერმენში" და ახლა „მილანი".

1990 წელს ლიბერიაში დიდი ომი ატყდა და ფეხბურთელს სადარდებელი გამოუჩნდა. ვეა ნათესავებისა და მეგობრების ბედს განიცდიდა.

— ფეხბურთი ომმა მეტად აზარალა. ჩვენ ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო შეჯიბრებაში არ გვითამაშია. ახლა თითქოს მდგომარეობას ვაუმჯობესებთ, მაგრამ აშკარაა, რომ საშინელმა წლებმა ჩვენს ნაკრებზე ძლიერ ცუდად იმოქმედა.

და მაინც, ლიბერიის ნაკრები, ეტყობა, მართლაც ალმავლობის გზას დაადგა. გუნდმა, პირველად ისტორიაში, გაიკაფა გზა აფრიკის ჩემპიონატის ფინალური სტადიისკენ. ნაკრების კაპიტანი, დამფინანსებელი და ჩამცმელ-დამხურავი ჟორჟ ვეა გახლდათ. ამ წარმატებამ ფეხბურთელი ეროვნულ გმირად აქცია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტობაც კი შესთავაზეს. ვეამ, ცხადია, იუარა.

— ამას ვერ შევძლებ — განაცხადა სერიოზულად — როცა ქვეყნის პრეზიდენტი ხდები, ცხოვრება სხვა განზომილებაში გადადის, პრეზიდენტს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება მართებს, მე კი არ მინდა, ჩემი მეგობრები გადავიკიდო. ყველას ჯობია, რაც ვარ, იმად დავრჩე. მე შემიძლია ჩემს ქვეყანაში სპორტს დავეხმარო და ამით თავს ღირსეულ ადამიანად ჩავთვლი. სამშობლოსთვის ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ პოლიტიკა არ მიხსენოთ.

## საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

### №12 ტირაჟის შედეგები:

1. 2-2 2. 0-2 3. 0-1 4. 2-2 5. 4-0 6. 1-1 7. 5-1

მოგებები: ხუთი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. სრული **JACK POT** — შესაბამისად, 210, 1230 და 1560 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან§ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, სამგორი და ახმეტელი. ბილეთის §2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი. მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი" 11-დან 14 სთმდე.

ყურადღება! მე-14 ტირაჟი გაიმართება საახალწლო დღესასწაულების შემდეგ — 21 იანვარს.

ინგლისის ჩემპიონატი. XX ტური

### არსენალი 3:0 ქუინზ პარკი

38 259 მაყურებელი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კლარკი, ადამსი, ვინთერბერნი, მერსონი, კიოუნი, პლატი, იენსენი, რაიტი, დიკოვი

ქუინზ პარკი: სომერი, ბარდსლი, მაკდონალდი, იეიტსი, ბრევეთი, სინკლერი, იმფი, ბარკერი, ვილკინსი (დიჩიო 74), გალენი (პოლოვეი 66), პეიტლი

გოლი: რაიტი (44), მერსონი (61, 83)

### ბლექბერნი 2:0 მანჩესტ. სიტი

28 915 მაყურებელი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კოულმენი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი, შირერი, ნიუელი, ბერგი, ბოჰინენი, ბეტი

მანჩესტერ სიტი: იმელი, ეკელუნდი (ქრინი 80), ქერლი, ქინქლაძე, ქუინი, ფლიტკროფტი, ბრაისველი, საიმონსი, სამერბი, ბრაუნი, როსლერი

გოლი: შირერი (11), ბეტი (50)

გაფრთხილება: ბრაისველი

### ჩელსი 1:2 უიმბლდონი

21 906 მაყურებელი

ჩელსი: ხარინი, კლარკი, გულიტი, სპენსერი, პიუზი, პიკოკი (ფარლონგი 80), მაიერსი, ნიუტონი, ლი, პეტრესკუ, დაბერი

უიმბლდონი: სეგერსი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ (პირსი 84), ჰოლდსვორსი (გეილი 74), რივზი, პარფორდი (გუდმანი 79), პერი

გოლი: პეტრესკუ (10), ერლი (34), ეკოკუ (38)

გაფრთხილება: სპენსერი, პიუზი, კანინგემი, კიმბლი, პარფორდი, ჯოუნზი

გაძევება: ჯოუნზი (54)

### ევერტონი 4:0 მიდლსბრო

40 091 მაყურებელი

ევერტონი: საუთჰოლი, ანსუორსი, ვოთსონი, შორტი, კანჩელსკისი, ჰორნი, ებრელი, პარკინსონი, ლიმპარი, სტიუარტი, რაიდაუთი

მიდლსბრო: ვოლში, კოქსი, ვიკერსი, პირსონი, ვაითი (მორისი 17), პოლოკი, ფიორტოფტი, ჰენდრი, ფლემინგი, ლიდლი, ჟუნინიო (მორენო 74), მორისი (მური 63)

გოლი: შორტი 10), სტიუარტი (45, 60), კანჩელსკისი (68)

გაფრთხილება: შორტი, ჰორნი, ლიმპარი, კოქსი, პოლოკი, მორისი, ფლემინგი

### ნოტინგემი 1:0 შეფილდი

27 810 მაყურებელი

ნოტინგემი: კროსლი, ლაითლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ჯემილი, კემპბელი (როი 76), სტოუნი, ლი, ვოენი, ბარტ-ვილიანსი

შეფილდი: პრესმენი, ათერტონი, ნოლანი, ნიკოლი, უოდლი, ჰირსთი (ბრაითი 77), დეგრიზი, უოქერი, კოვაჩევიჩი, უიტინგემი, ბრისკოუ (სტეფანოვიჩი 29)

გოლი: ლი (6)

### საუთჰემპტონი 0:0 ტოტენჰემი

15 238 მაყურებელი

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დოდი, ჩარლტონი, მაჯილტონი, ჰოლი, მონკოუ, ლე ტისიე (უორენი 20), ვენისონი, შიპერლი, ჰ ინი, ოკლი

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, კალდერვუდი, ედინბურგი, მებოთი, კემპბელი, ვილსონი, მაკმაჰონი (სლეიდი 74), როზენტალი, შერინგემი, არმსტრონგი

გაფრთხილება: ჩარლტონი, ვენისონი, ედინბურგი

### ბოლტონი 0:2 ლიდსი

18 414 მაყურებელი

ბოლტონი: ბრენაგანი, გრინი, ფილიპსი (დე ფრეიტასი 86), ბერგსონი, ჩურჩიჩი, ფეირკლაფი, კაგარტი, სნიქსი (ბარნეტი 69), მაკგინლი, გლეიკი, სელარსი

ლიდსი: ბიხი, კელი, დორიგო, ფორდი, ვეზეროლი, ბროლინი (რეიდბი 89), ჯობსონი, იებოა, დინი, მაკალისტერი, სპიდი

გოლი: ბროლინი (40), ვეზეროლი (63)

გაფრთხილება: ტაგარტი, ბლეიკი, ბროლინი, ჯობსონი, დინი

### მანჩესტერ იუნ. 2:0 ნიუკასლი

42 024 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ: შმაიხელი, ირვინი, კანტონა, გიგზი, მეი (მაკლეირი 46), კინი, კოული, ბუტი, გ.ნეველი, ფ.ნეველი, ბექემი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, ბარტონი, ბერესფორდი, პიკოკი, პაუი, ლი, ფერდინანდი, კლარკი (კიტსონი 73), ჟინოლა, გილესპი (ვოთსონი 16), ბერდსლი

გოლი: კოული (6), კინი (53)

გაფრთხილება: ირვინი, ბარტონი, ბერესფორდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 20 | 14 | 3 | 3 | 40:18 | 45 |
| იუნაიტედი | 20 | 11 | 5 | 4 | 38:22 | 38 |
| ტოტენჰემი | 20 | 9 | 8 | 3 | 26:19 | 35 |
| ლივერპული | 19 | 10 | 4 | 5 | 34:16 | 34 |
| არსენალი | 20 | 9 | 7 | 4 | 27:15 | 34 |
| მიდლსბრო | 20 | 9 | 6 | 5 | 23:18 | 33 |
| ასტონ ვილა | 19 | 9 | 5 | 5 | 25:15 | 32 |
| ლიდსი | 19 | 9 | 4 | 6 | 28:25 | 31 |
| ნოტინგემი | 19 | 7 | 10 | 2 | 29:27 | 31 |
| ბლექბერნი | 20 | 8 | 4 | 8 | 31:25 | 28 |
| ჩელსი | 20 | 7 | 7 | 6 | 19:21 | 28 |
| ევერტონი | 20 | 7 | 5 | 8 | 27:22 | 26 |
| ვესტ ჰემი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:28 | 23 |
| შეფილდი | 20 | 5 | 7 | 8 | 28:30 | 22 |
| საუთჰემპტ. | 20 | 4 | 7 | 9 | 19:30 | 19 |
| უიმბლდონი | 20 | 4 | 6 | 10 | 26:40 | 18 |
| ქუინზ პარკი | 20 | 5 | 3 | 12 | 15:29 | 18 |
| სიტი | 20 | 4 | 4 | 12 | 10:30 | 16 |
| ქოვენთრი | 19 | 3 | 6 | 10 | 25:41 | 15 |
| ბოლტონი | 20 | 2 | 4 | 14 | 18:38 | 10 |

# პასი უგოლოდ არაფერია

ბლექბერნის „ივუდ პარკზე" „მანჩესტერ სიტის" სტუმრობა მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა. ინგლისის პრემიერლიგისთვის ეს თამაში ერთგვარად ისტორიულიც კი იყო, რადგან „სიტის" მწვრთნელმა ალან ბოლმა ერთბაშად ოთხი უცხოელი გაიყვანა მოედანზე. ამგვარად, ბოლი ინგლისელ მწვრთნელთა შორის პირველი გამოეხმაურა ბოსმანის საქმეს. მოგეხსენებათ, ბოსმანმა ევროსასამართლოში უეფას საქმე მოუგო და აწი ევროპის გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ფეხბურთელები ამათში უცხოელებად აღარ ითვლებიან. ამიტომაც, „ბოსმანის მიხედვით"ისე გამოვიდა, რომ მანჩესტერის გუნდს შემადგენლობაში ერთადერთი უცხოელი, ქართველი გიორგი ქინქლაძე ჰყავდა. გერმანელები იმელი და როსლერი, „ბარსელონასგან" ნათხოვარი დანიელი რონი ეკელუნდი კი შინაურებად ჩაითვალნენ. ეკელუნდი „სიტიში" ახალი კაცია და „ჩელსისთან" წინა ტურში დებიუტი ჰქონდა.

შევეცადოთ, არ დავიბნეთ. მამა-პაპური გაგებით, „სიტის" იმ დღეს კიდევ ერთი უცხოელი ჰყავდა მოედანზე. ეს გახლდათ ირლანდიელი ქუინი, მაგრამ ირლანდიელები ინგლისის პირველობაზე ხომ უცხოელებად იმთავითვე არ ითვლებოდნენ.

მოკლედ, ევროკავშირელებმა და კერძოდ ინგლისელებმა სჯობს თავად არკვიონ, ვინ ვინ არის, ჩვენ კი უშუალოდ თამაშის აღწერაზე გადავიდეთ.

„ბლექბერნის" და „მანჩესტერ სიტის" შეხვედრაში ორი გოლი გავიდა, ორივე სტუმართა კარში და ორივე შორიდან დარტყმით. პირველის ავტორი ცნობილი ბომბარდირი ალან შირერი გახლდათ და მისგან გოლის გატანა არავის გააკვირვებია, მეორემ კი ყველა გააოცა. იგი დევიდ ბეტიმ შეაგდო, რომელსაც, ერთი, რომ „ბლექბერნში" 26-თვიანი მოღვაწეობისას აქამდე არ გაეტანა, მეორეც, კარიერაში მხოლოდ მეხუთედ გამოიჩინა ამ მხრივ თავი. მესამე — ამ ხუთიდან ახლა უკვე სამი „სიტის" კარში მოათავსა და მეოთხეც: წინა გოლი ზუსტად სამი წლის წინ ჰქონდა გატანილი.

ამ მოგების შემდეგ „ბლექბერნ როვერსს" შინ ახლა უკვე შვიდი წაუგებელი მატჩი დაუგროვდა.

ანგარიში მე-11 წუთზე გაიხსნა. შირერმა მაიკ ნევილისგან პასი რომ მიიღო, კომბინაციის გაგრძელება მარტივად „იკითხებოდა", მაგრამ თავდამსხმელმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, მარჯვენა ფეხით პირდაპირ დაარტყა და „სიტის" მეკარე იმელი უძლური გახადა. ეს ალან შირერის 99-ე გოლი იყო პრემიერლიგაში.

მეორე გოლი 50-ე წუთზე, ანუ შესვენებიდან ხუთ წუთში შევარდა. ბეტიმ ბურთი საკუთარ ნახევარზე მოიპოვა და ლარს ბოჰინენს მიაწოდა. წინ შირერი იყო მზად შეტევის გასაგრძელებლად. მას ალბათ გაუკვირდა კიდეც, როდესაც დაინახა, რომ ბეტი უკან კი არ დარჩა, არამედ თავდასხმის დასახმარებლად გაიჭრა და პასი მოითხოვა. შირერმა მიაწოდა, ბეტიმ კი 25 მეტრიდან „გაისროლა" და ცხრიანში შეასო.

„მანჩესტერ სიტის", რომელმაც ნოემბერში რამდენიმე კარგი მატჩი ითამაშა და საშიშ ზონას ასცდა კიდეც, ამ შეხვედრაში ერთხანს ჰქონდა გარკვეული უპირატესობა, მაგრამ გოლად ვერ აქცია. გერი ფლიტკროფტმა და გიორგი ქინქლაძემ რამდენიმე გააზრებული კომბინაცია წამოიწყეს, მაგრამ საქმე შორს არ წასულა. საკუთრივ ქინქლაძეზე კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მან ერთ ეპიზოდში ბურთი თავისი საჯარიმოდან დრიბლინგით წაიღო, ხუთ მეტოქეს ასცდა და მხოლოდ მეექვსესთან დაკარგა, მეორე ეპიზოდში კი ბეტიმ უკნიდან მწარედ მიარტყა, რის შემდეგაც ექიმები მოედნის კიდეზე მთელი ათი წუთი დასტრიალებდნენ თავს. ბოლმა ქართველი მოთამაშე მაინც არ შეცვალა. რაც შეეხება სახიფათო მომენტებს, „სიტის" ასეთი ორჯერ ჰქონდა. ორჯერ ივაჟკაცა ზემოხსენებულმა ფლიტკროფტმა, რომელიც სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. მან ერთი გონივრული პასით „ბლექბერნის" მთელი დაცვა პირლია დატოვა. ბურთი იან ბრაისველმა მიიღო, მაგრამ ისე უხეიროდ დაარტყა, თანაგუნდელ ქუინისთვის გადაწოდება გამოუვიდა. ირლანდიელის საუბედუროდ, დარტყმა ძელიდან ასხლეტით და შეტევის ჩაშლით დასრულდა. მეორედ, ფლიტკროფტმა ცაწვეიით დაარტყა საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ ტიმ ფლაუერსმა აკრობატული ნახტომით მოიგერია.

მეკარემ ორჯერ „სიტისაც" უშველა, თორემ „ბლექბერნი" უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა. აიკ იმელმა ორივეჯერ ალან შირერს აჯობა და კარიერაში პრემიერლიგის [illegible] გოლი არ გაატანინა. პირველად შირერმა [illegible] დაარტყა [illegible] მარცხენა ფეხით, მეორედ კი თავით, [illegible]

მანჩესტერელთა დაცვას უკეთესად თამაშში მართებდა. ერთხელ იმელს გვერდით მდგომი უშლიდა ხელს, როცა სტიუარტ რიპლიმ უძლიერესად დაარტყა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა ძელს მოხვდა. ბოლოს „სიტიმ" ძალა მოიკრიბა, ერთი-ორი გააზრებული კომბინაციაც გაახერხა, მაგრამ ქუინისთვის, რომელსაც შეტევები უნდა დაესრულებინა, ეს საღამო აშკარად უიღბლო იყო.

„ბლექბერნის" მწვრთნელმა რეი ჰარფორდმა მატჩის შემდეგ თქვა: „რაც ბეტიმ ჰქნა, ნამდვილი მატჩ-ბოლი იყო. სასიამოვნო იყო, მან რომ გაიტანა. საერთოდ, ამ სეზონში შინ კარგად ვთამაშობთ და დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ".

დევიდ ბეტი: „დიდხანს ველოდი „ბლექბერნში" გოლის გატანას. გოლიც სასიამოვნო იყო და „სიტის" წინააღმდეგ თამაშიც. ამ გუნდს ხომ ადრე, „ლიდსში" თამაშისას ორჯერ გავუტანე. ისე კი, უნდა გამოგიტყდეთ, რომ გატანაზე ფიქრით მაინცდამაინც თავს არ ვიწუხებ".

„მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი ალან ბოლი: „გული დამწყდა, ბიჭებმა რომ წააგეს. უკეთესი შედეგის ღირსნი ვიყავით. მთელი ეს გააზრებული პასები საბოლოოდ არაფერია, გოლი თუ ვერ შეაგდე. შეხედეთ ალან შირერს. მას ამ სეზონში მთელი ჩვენი გუნდის მიერ შეგდებულზე ორჯერ მეტი აქვს გატანილი. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კარგი ფორვარდის ყოლა ფასდაუდებელი რამაა".

ეს რაც შეეხებოდა ქინქლაძის გუნდს. ახლა კი ტურის და, ალბათ წრის მთავარი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" მიმოვიხილოთ. შეხვედრის წინ კევინ კიგანის „მოსწავლეები" მანჩესტერელებს 10 ქულით უსწრებდნენ და მოგების შემთხვევაში მდევარს 13 ქულით მოიტოვებდნენ უკან. „ნიუკასლს" აქამდე მხოლოდ „საუთჰემპტონთან" და „ჩელსისთან" ჰქონდა წაგებული.

იმ დღეს „ოლდ ტრეფორდზე" სეზონისთვის სარეკორდო, 42 ათასი მაყურებელი მივიდა. გოლის ცდა დიდხანს არ დასჭირვებიათ. მეექვსე წუთზე ენდი კოულმა თავის ძველ გუნდს პირველი ბურთი შეუგდო. ეს ასე მოხდა: „ნიუკასლს" შეტევა ჩაეშალა, ბურთი რაიან გიგზმა ჩაიგდო და შეუტია. ერიკ კანტონამ, რომელმაც ამ დღეს დიდებულად ითამაშა, მეტოქის მცველები გაიტყუა და ენდი კოულს კარგი პოზიცია შეუქმნა. გიგზმა კოულს მიაწოდა, ამან კი დიდოსტატური დარტყმით ანგარიში გახსნა. მეთექვსმეტე წუთზე ტრავმა მიიღო „ნიუკასლის" კეით გილესპიმ, რომელიც გუნდს დააკლდა, მაგრამ დამარცხების ამისთვის დაბრალება სწორი არ იქნებოდა და აკი არც კევინ კიგანმა იკადრა ეს მატჩის შემდეგ.

თავის მხრივ სტუმრებსაც ჰქონდათ მომენტები. გოლის გატანა შეეძლოთ რობერტ ლის და ფრანგი კანტონას თანამემამულე მეტოქეს დავიდ ჟინოლას, მაგრამ „იუნაიტედის" დანიელმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა იმ დღეს მოწინააღმდეგე თავდამსხმელები არ გაახარა. ლის და ჟინოლას მსგავსად აიქცა იგი ლეს ფერდინანდსაც, რომელმაც სტივ პოუვისგან კარგი პასი მიიღო, კარგადაც დაარტყა, მაგრამ გოლკიპერმა მარჯვენა ფეხით მოიგერია.

მეორე ტაიმში, შესვენებიდან ხუთი წუთის შემდეგ რაიან გიგზმა ძელს მოარტყა, სამ წუთში კი კინმა „ნიუკასლს" სეზონში მესამე დამარცხების დამაგვირგვინებელი გოლი გაუტანა.

მატჩის შემდეგ კევინ კიგანმა თქვა: „ძლიერ გულსატკენი რამ მოხდა. ასე ცუდად წელიწადია, არ გვითამაშია. არ გვიფარგოდა ნახევარდაცვა და თავდასხმა. ისინი აქეთ-იქით პასებს იძლეოდნენ, რითაც თავიანთ პასუხისმგებლობას იცილებდნენ. წაგება თავისთავად დიდი ტრაგედია არ არის, მაგრამ ასე არ უნდა ითამაშო. კარგად რომ ითამაშებ, წაგებასაც სხვანაირად შეხედავ".

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი: „ჩვენ გავრისკეთ და შევუტიეთ. პირდაპირ ყელში ვწვდით მეტოქეს და გაგვიმართლა კიდეც. უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც გვეკუთვნოდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სექსუალური ცუღლუტობანი ჩემს საყვარელ ფერდისთან



„სანმა“ შეიტყო, რომ ფეხბურთის ვარსკვლავმა ლეს ფერდინანდმა ქალების ჰეთ-ტრიქი შეასრულა. პრემიერლიგის ერთ-ერთი უმშვენიერესი ფიგურა, ცხოვრების თანამგზავრ მეგობარ ქალს ანჯელიას აბრიყვებდა, სახლიდან გადიოდა და ჟურნალ „ვოგის“ მოდელთან, ევა რაიკსტრასთან ატარებდა დროს. მაგრამ გუშინ (სტატია გადმოქართულებულია 25 აგვისტოს „სანიდან“) ევამ განაცხადა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის“ 6,5 მილიონ გირვანქად შეძენილმა ვარსკვლავმა იგიც, ვიღაც ახალ, საიდუმლო ტურფაში გაცვალა. ახლა 29 წლის ევა გულგატეხილია და ჰყვება 28 წლის ფეხბურთელთან შვიდთვიანი რომანის შესახებ. მან მოგვითხრო, როგორ ჩაიწვინა ვაჟმა ლოგინში შამპანურითა და ქოლოს ჟელეთი ნებივრობის შემდეგ, როგორ გრძელდებოდა მათი ურთიერთკავშირი 90 წუთის განმავლობაში „ტაიმებს“ შორის შესვენების გარეშე და როგორ სთხოვდა, იდუმალი ფანტაზიის დასაკმაყოფილებლად ჩაეცვა ლურჯი წინდები. წარმოშობით ჰოლანდიელი ლამაზმანი იმტკიცება, რომ ფერდინანდი მას ცოლობას ჰპირდებოდა. ახლა კი თავს აბსოლუტურად ნაზმარად და მოტყუებულად ვგრძნობო, ამბობს ქალი.

„ლესი შესაძლოა როგორც ფეხბურთელი 6,5 მილიონი ღირდეს, მაგრამ ნებისმიერი თავმოყვარე ქალისთვის იგი ერთ პენიდაც არ ფასობს“ — განაცხადა ევამ.

ფერდინანდმა, რომელიც ამ კვირაში ინგლისში ყველაზე კოხტად გამოწყობილ მამაკაცად აღიარეს, ევა ბოლოს ოთხშაბათ დღეს ნახა.; წინა საღამოს მან „ბოლტონს“ ორი გოლი გაუტანა და სტადიონიდან სახლში დაბრუნდა. ეს 300 ათასად შეფასებული სახლი მისი და მისი რვა წლის შვილის დედის, ანჯელიასია. ცოტა რომ დაისვენა, საჭეს მიუჯდა და 250 მილი გაიარა, რათა ნორსამბერლენდში, ლონგჰორსლისთან, „ლინდენ ჰოლ ოტელში“ საყვარელს შეხვედროდა.

## გაშიშვლება

ევა იგონებს, როგორ შევიდა ლესი მის ოთახში. ეს ღამის თორმეტის თხუთმეტ წუთზე მომხდარა. ოთახში შესულ ფეხბურთელს ტანთ ყველაფერი გაუხდია და ტელევიზორი ჩაურთავს. ფეხბურთს გადასცემდნენ. „ეს ტიპიური იყო — ამბობს ქალი — მას უყვარდა სექსი, მაგრამ ტელევიზორში ფეხბურთის ანგარიშებს უპირველესად მოიძიებდა ხოლმე“.

ევა ამბობს, რომ თავიდან ვაჟის გაგდება უნდოდა, მაგრამ „როგორც კი თვალი შევავლე, მუხლები მომეკვეთა. მე ახლაც მიყვარს იგი. იმ საღამოსაც ყველაფერი ლოგინით დამთავრდა. რამდენიმე საათის შემდეგ კი დამირეკა და მითხრა, ვიღაც სხვა ქალი მყავსო. გავშრი და ვკითხე, მაშ გამცვალე არა-მეთქი? მან მომიგო, ჩემთან ლოგინის „ბიზნესი“ კიდევ თუ გაინტერესებს, შეგვიძლია ამ მხრივ არც დავშორდეთ ერთმანეთსო. კაცი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ცოლობას მთხოვდა, ახლა ყურმილში მიცხადებდა, რომ მხოლოდ სექსისთვის ვვარგოდი“.

## გაპანღურებული

ევას ლესი თებერვალში შეუყვარდა. როდესაც ვაჟი ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ თამაშობდა. მათი ურთიერთობა ფეხბურთელის ნიუკასლში გადასვლის მერეც გაგრძელდა. მან ევას ასე აუხსნა, მე და ანჯელია უბრალოდ მეგობრები ვართო. ევას გულმა ავი მაშინვე უგრძნო, რადგან გაზეთებში წაიკითხა ფერდინანდი და ანჯელია ლოგინშიც კარგად გრძნობენ თავსო. იმ სტატიაში თავად ლესი ამბობდა, ანჯელიას საუცხოო ტანი აქვს და საწოლშიც კარგად იცის როგორ მოიქცესო. ევა გაოცებულა, მაგრამ ლესს დაუმშვიდებია, ეს ინტერვიუ ადრე მივეცი, გაზეთმა კი ახლა დაბეჭდაო.

ქალი ამბობს: „იმიტომაც ვარ გაბრაზებული, რომ მისი გულისთვის სამსახურისთვის თავის დანებებას ვაპირებდი. ახლა ვხვდები, რა შტერიც ვიყავი“.

## პირველი ღამე

ევა პირველ ღამეს იგონებს: „საუცხოო იყო. იგი 90 წუთი არ მომშორებია. ფეხზე ვეღარ ვიდექი, გონება დამიბნელდა. ეს ჩვენი მესამე პაემნის დროს მოხდა. მე უკვე შეყვარებული ვიყავი. ვახშმის შემდეგ მაცივრიდან ჟოლოს ჟელე გამოვიღე, სოფაზე გვერდით მივუჯექი და კოვზით ნება-ნება დავიწყე ჭამა. ის მომშტერებოდა. მისკენ ჩავიწიე და ჩემი პირიდან ვაჭამე. ლესმა მიჩურჩულა „ლოგინში ხომ არ გადავიდეთ“? მე ვუპასუხე, სექსისთვის ჯერ მზად არ ვარ მეთქი, მაგრამ მან ხელი მომხვია და უკვე მივხვდი, რაც მოხდებოდა. პირში შამპანური ჩავიგუბე და სახესა და მხარ-ბეჭზე მივაფრქვიე. მან ჯემპრი გამხადა და შამპანური მკერდზე დამასხა. ორივენი გავშიშვლდით. მას საუცხოო სხეული ჰქონდა, დაკუნთული და სოლიდური. მისი შამპანურით სველი სხეულის კოცნა დავიწყე. ის აღეგზნო და სიამოვნებისგან კრუსუნებდა. ბოლოს სექსზე გადავედით. თავს კინოგმირად ვგრძნობდი.ვუთხარი რომ ამ მომენტს მთელი ცხოვრება ველოდი. თავიდან მეტისმეტად ნაზად მომეპყრო, ნელ-ნელა მეტად და მეტად აღეგზნო. ეს ფანტასტიკური იყო. მოგვიანებით უფრო მიწყნარდა. ის თუნდაც ერთი სიახლოვისას, რამდენჯერმე მაკმაყოფილებდა.



THE Sun

დაპირებისამებრ, გთავაზობთ კიდევ ორ პუბლიკაციას ინგლისურ გაზეთ „სანიდან“

## გაცნობა

ერთმანეთი რომ გაიცნეს ფერდინანდი „ქუინზ პარკში“ თამაშობდა. ეს „ქოვენტ გარდენის“ ბარში „პოტში“ მოხდა.

ევა იგონებს: არ დამავიწყდება პირველი შეხვედრა. მას ბეისბოლის ქუდი ეხურა, ზოლიანი მაისური და განიერი შარვალი. ეცვა და დიდებულად გამოიყურებოდა. მასთან ერთად სხვებიც იყვნენ. ისინიც ფეხბურთელები ყოფილან. მივუახლოვდი და მივესალმე. ცოტა ხანში ლესი და მისი მეგობრები წინ ჩამომიჯდნენ. ზრდილობიანად ვკითხე, რა პროფესიის ადამიანი ბრძანდებით-მეთქი. ფეხბურთელი ვარო. კარგად თამაშობთ-მეთქი, — ვკითხე. გაეცინათ, ეს კაცი თვით „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ თამაშობსო. რა კარგია, მეც ქუინზ პარკში ვცხოვრობ-მეთქი. ფეხბურთის არაფერი გამეგება და არც ლეს ფერდინანდისა ვიცოდი რამე. ერთადერთი, რასაც მივხვდი, ის იყო, რომ ერთმანეთი მოგვეწონა.“

სამ დღეში ევამ ფერდინანდი და მისი მეგობრები წვეულებაზე დაპატიჟა. იმ წვეულებაზე არც კი გამოლაპარაკებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთი კვირის თავზე, ბარში ვაჟმა ტელეფონის ნომერი სთხოვა.

## მშვენიერი

„ვყოყმანობდი. არასდროს მიმეცა ჩემი ტელეფონის ნომერი ახალგაცნობილისთვის, მაგრამ აქ სხვა ამბავი ჩანდა“ — თქვა ევამ. ლესმა მოგვიანებით დაურეკა. საუბარში, ვაჟმა სადილად დაპატიჟა. ჩინურ რესტორანში წავიდნენ. გვიან, ფერდინანდმა სახლამდე მიაცილა და გამომშვიდობებისას ლოყაზე უჩქმიტა.

„ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა. არც მისი გვარი ვიცოდი და არც მისი პროფესია მხიბლავდა. ერთადერთი, ვგრძნობდი, რომ ის ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული კაცი იყო. პირველივე შეხვედრისას ვუთხარი, რომ კაცებზე გულგატეხილი ვარ. მან მიპასუხა: რას ვამბობ ყურადღება არ მიაქციო, საქმით შემაფასეო“. ჩქარა ვაკოცე ლოყაზე და კარი გავაღე. მოვტრიალდი, ხელი რომ დამექნია, ის უკვე თავის წითელ „პორშში“ იჯდა. მანქანა დაექოქა. წადი-მეთქი, ვანიშნე, მან კი გამიღიმა და მიმიხმო. წვიმდა. მივირბინე მანქანასთან. ჩაჯექიო, მყისვე ჩავჯექი. ერთმანეთს ვუყურებდით და საკოცნელად ვიწევდით. ეს ჩემი ცხოვრების უხანგრძლივესი და ვნებიანი კოცნა იყო.

## საუცხოო

„ერთხელ, ფეხბურთელ მეგობრებთან დენი მედიქსთან და კლაივ ვილსონთან ერთად კონცერტზე დამპატიჟა. უკანა გზაზე, განმარტოვებამდე ველარ მოვითმინეთ, მანქანაში ჩავეხუტეთ ერთმანეთს. მისი ხელები ყველგან მეალერსებოდა.“

შემდეგ წყვილი ევას ბინაში მივიდა და ლოგინში ჩაწვა. ევა აღიარებს: ლესმა იცოდა, როგორ მოპყრობოდა ქალს. ჩემი სხეულის ერთი სანტიმეტრიც კი არ რჩებოდა მოუფერებელი. მე რომ მსიამოვნებდა, ეს ანიჭებდა დიდ განცდას. თანდათან, როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა, ერთმანეთს ვხვდებოდით, ყურმილს ავიღებდი და მისი ხმა მესმოდა. შუადღისასაც შემომირბენდა ხოლმე და როგორც წესი, სექსუალურ ნეტარებას ვეძლეოდით. ხანდახან ეს საწოლში არ ხდებოდა, არამედ სოფაზე. მას უყვარდა ჩემი გახდა. არასდროს უხმარია პრეზერვატივი. ამ კაცისათვის მთელი ცხოვრების მიძღვნას ვაპირებდი. ბავშვებზეც კი ვლაპარაკობდით. მე სამის გაჩენა მინდოდა, მას — ორის, ვოცნებობდი მისთვის ყველაფრის გაღებაზე. მსურდა ბავშვივით ჩემი ხელით დამებანა. რომ მეუბნებოდა, შენ განსაკუთრებული ხარო, მთელი არსებით მჯეროდა. მე ხომ არ ვიყავი ვიღაც შტერი გოგო, რომელსაც იგი ფეხბურთის ვარსკვლავობის გამო შეუყვარდა. მე სოლიდური ქალი ვიყავი, მისი თანმოაზრეობა რომ მსურდა“.



შეზა, მისი ვაჟი მეისონი და გაზა

# ორსულმა შეზამ გააგდო გაზა

ფეხბურთის ვარსკვლავი პოლ გასკოინი მისმა ფეხმძიმე საყვარელმა შერილ ქეილმა „ნაგავს გაატანა“. გაშმაგებულმა ქალმა იგი სახლიდან მას მერე გააპანღურა, რაც ბოიფრენდს დაუგეგმავი ორსულობა ამცნო, მას კი ეს სიახლე არ ეპიტნავა. შერილი ელოდა, რომ ვაჟი სიხარულისგან ცას ეწეოდა, მას ხომ თავად ასე დაემართა მოულოდნელი ამბავი რომ შეიტყო, მაგრამ პოლი პირიქით, დაიზაფრა. ბოლო ჟამს „გლაზგო რეინჯერსის ტუზს“ კვლავ მოაგონდა დაუგეგმავი შვილი და ესიამოვნა. მისდა სამწუხაროდ გვიან აღმოჩნდა, შერილმა ის აღარ მიიღო. განხეთქილებიდან სამი კვირის თავზე სასოწარკვეთილი ვარსკვლავი გლაზგოში მარტო იჯდა და ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე ფიქრობდა. ამ დროს კი შერილი საკუთარი სახლის წინ ფოტოგრაფებთან პოზიორობდა და ბედნიერებაზე საუბრობდა, ოღონდ ამ საუბარში გაზა ერთხელაც არ უხსენებია.

აი, რა მოყვა ფეხბურთელის ერთმა მეგობარმა: „პოლი ვაჟკაცურად იქცევა. შერილმა მკაფიოდ უთხრა, რომ მათ შორის ყველაფერი დასრულდა. მანამდე შვებულება ამერიკასა და მავრიკეთში ერთად გაატარეს. მათ უკვე იცოდნენ, რომ შერილი ფეხმძიმედ იყო. მოგზაურობაში შეხლა-შემოხლის რამდენიმე სერია ჰქონდათ. როდესაც დაბრუნდნენ პოლი შოტლანდიაში წავიდა. მას მერე ერთმანეთი აღარ უნახავთ. პოლი საშინელ დღეშია. ის ამბობს, რომ მამობა მას აშინებს, მაგრამ შერილთან განშორებამ დაზაფრა...“

## ტკივილი

„მათი ურთიერთობა ყოველთვის არამყარი იყო, მაგრამ განშორება პოლისთვის მეტისმეტად ტკივილიანი გამოდგა. მისი ერთადერთი ნატვრა, ახლა შერილთან და მათ ბავშვთან ბედნიერი ოჯახის შექმნაა, მაგრამ ქალს ეს არ აინტერესებს. ის ამბობს, რომ ვაჟს იგი თავის საკუთრებად მიაჩნია, მას კი თავისუფლება სურს.“

შერილი ბავშვს თებერვალში ელოდება. მისთვის ეს შვილი მესამე იქნება. პირველი ქორწინებიდან მას ცხრა წლის ბიანკა ჯეიდი და ექვსი წლის მეისონი ჰყავს.

ის დღე, განშორებიდან სამი კვირის თავზე ქალმა თავის 250 ათას გირვანქად ნაყიდ სახლში, ჰერთსში, სტენსტედ ებოთსზე გაატარა, გაზა კი გლაზგოში ძმაკაცებთან იჯდა და ლოთობდა.

წყვილის ამბავთა მთხრობელმა მეგობარმა თქვა: „ის რომ შერილი პოლის ბავშვს ელოდება, მეტად ფაქიზი საკითხია. ისინი დიდად გაიხარებენ, თუ ბავშვს შეინარჩუნებენ და ერთად იქნებიან. დრო გავა, დადგება ჭეშმარიტების მომენტი და წყვილი აუცილებლად კვლავ ერთად იქნება.“

ასე იქნება თუ ისე, დღეს გაზა მეგობრებს გამოუტყდა, რომ საოცრად სურს სატრფოს დაბრუნება და ბედნიერი ოჯახის შექმნა. სამაგიეროდ ყოფილ მოდელს შერილს ჯერაც ცხადად ახსოვს მისი უხეში მოპყრობა და გაუთვალისწინებელი რეაქციები.

მეგობარმა გვიამბო: „პოლი შოკში იყო იმისაგან, რაც ქალმა უთხრა და არასწორი რეაქცია ჰქონდა. მან იოტისოდენა სიხარული ან ენთუზიაზმიც კი არ გამოხატა და ამით ის ტოტი მოიჭრა რომელზეც იჯდა. მან შერილთან კი არ იმსჯელა მათ მდგომარეობაზე, არამედ გაბრაზდა და თქვა, რომ მამად გახდომა გეგმაში არ ჰქონდა.

მამობა ისეთი პასუხისმგებლობაა, რომლის ზიდვისთვის პოლი მზად არ იყო...“

## გაცოფება

... მან უთხრა შერილს, რომ ყველაფრის დაგეგმვა ურჩევნია და რომ მას უფლება არ ჰქონდა საკუთარი თავისთვის ფეხმძიმობის უფლება მიეცა. ქალი მეხდაკრულივით იყო, მაგრამ ფიქრობდა, რომ შვილი ისეთი რამაა, ცალკე პოლს რომ გააბედნიერებდა, ხოლო მათ დააახლოვებდა. შემდეგ მან პოლის საქციელი ღალატის ტოლფასად მიიჩნია და განრისხდა. ზემოხსენებული შვებულების ბოლოს შერილმა უთხრა ვაჟს, რომ მათ შორის ყველაფერი მორჩა. ამ ამბიდან 19 ივლისამდე მათ ერთმანეთისთვის ხმაც არ გაუციათ. 19-ში კი გაზას ცდა შერილისთვის აეხსნა, რომ იგი შეიცვალა, ჩაფლავდა.

ახლა იგი არეულია, იცის რომ სულელურად მოიქცა და ამბობს, შვილზე უკვე სხვაგვარად ვფიქრობო. შერილს რომ დაურეკა, ბავშვზე ელაპარაკა და ისიც ჰკითხა, ბავშვის ოთახი როგორ მოვაწყოთ და სახელი რა დავარქვათო, მაგრამ ქალს ეს აღარ აინტერესებდა. მას უბრალოდ არ სჯეროდა, რომ პოლი ასე უცბათ შეიცვლებოდა და მზრუნველ მომავალ მამად ჩამოყალიბდებოდა. მას ისიც არ სჯერა, რომ ვარსკვლავს გაცნობიერებული აქვს, რას ამბობს. სამწუხარო ის არის, რომ შერილი თავადაც ბედნიერ ოჯახზე ოცნებობს. მისი შვილები გასკოინს ეთაყვანებიან. ისინი ეკითხებოდნენ დედას, პოლის სანახავად როდის წავალთო. ეს საშინელი წუთები იყო. შერილს ეშინოდა, რომ თუ შერიგდებიან, ერთ ან ორ თვეში პოლს კვლავ აღარ მოუნდება ნაღდი ოჯახის ყოლა. დღეს ეს რისკი მისთვის მართლაც დიდია. ვაჟს ახლა საშინლად დიდი ჯაფა დასჭირდება, საყვარელი რომ დაიბრუნოს.“

ეს გაყრა გაზას და შერილის ოთხწლიან თანაცხოვრებაში ბოლო დრამა იყო. მათ ერთმანეთი 1991 წელს გაიცნეს, როდესაც მეზობლები იყვნენ. გაზა მაშინ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ თამაშობდა. რამდენიმე თვეში მათი რომანი გახმაურდა და ქალი იძულებული შეიქნა მეუღლეს, უძრავ-მოძრავი ქონების აგენტს ქოულინს გაყროდა.

## განხეთქილება

1993 წლამდე მათი ჩხუბი ლეგენდარული და რეგულარული ხდებოდა. პირველად იმიტომ გაცილდნენ, რომ შერილმა ცალკ-ცალკე ცხოვრება და ვაჟის ფეხბურთზე გადარევა ვერ აიტანა. ამასობაში გასკოინის ოჯახმაც აითვალწუნა შვილის საყვარელი. ისინი თვლიდნენ, რომ ქალი მათ ვაჟს ფულის გულისთვის მიეტმასნა. თავის მხრივ შერილმაც ვერ გაუძლო მის რჩეულზე მშობლების ზედმეტ გავლენას.

1993 წელს წყვილი კვლავ შეერთდა და რომანტიული ვახშმის დროს დაინიშნენ კიდეც, მაგრამ რამდენიმე დღეში რაღაც ახალი პრობლემა გამოძვრა და შემდგომი „რომანტიული“ ვახშამი ერთმანეთის ლანძღვით დამთავრდა. შეყრა-გაყრის მელოდრამის მწვერვალი ის გახლდათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაზამ შერილი გალახა. შემდეგ, გაზეთებში სიძეისის ქეჯზე და დანაშაულზე ლაპარაკმა ქალი მოალბო და სამ თვეში ისინი კვლავ შერიგდნენ. ეს შვებულების დროს, იტალიაში მოხდა.

ახლა, მორიგი გაყრის დროს ზოგი მეგობარი დარწმუნებულია, რომ ისინი კვლავ შეუღლდებიან, მაგრამ ერთმა თქვა: „სანამ შერილი შერიგებას იფიქრებს პოლს ერთი რამ ნაღდად მართებს — მან მარტომ ქუჩებში უნდა იხეტიალოს და იფიქროს.“


სარბიელი
0:2


სარბიელი


სარბიელი
FARMA!


სარბიელი


სარბიელი
წაართვით მაგათ ეს ოხერი ბურთი!


სარბიელი


სარბიელი
$ 3 200 000


სარბიელი


სარბიელი


სარბიელი
მე ალიბი ნაღდი მაქვს...


სარბიელი
საქართველო — 2 საქართველო — 77
ბულგარეთი — 1 ბოსნია — 66
საქართველო — გერმანია


სარბიელი
EURO 96 England


სარბიელი
Football


სარბიელი


სარბიელი
მიზანი ერთია ... საფრანგეთი!
FRANCE 98
დაიხსომეთ ეს დღე და ეს საათი!


სარბიელი
ქეცბაია — 6
ქინქლაძე — 3
MasterCard

წლეულს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა რეპორტაჟები შემდეგი ქალაქებიდან:

ლონდონი
მოსკოვი
კოპენჰაგენი
ატლანტა
კიშინიოვი
პარიზი
ტრაპიზონი
კარდიფი
ვლადიკავკაზი
ნიუ-იორკი
გლაზგო
ერევანი
მანჩესტერი
ბათი
თაუზი
ჰიორინგი
ნიურნბერგი
ჰომბურგი
ადანა
ლივერპული
ზაარბრიუკენი

წლეულს „სარბიელმა“ შეგახვედრათ:

იურგენ კლინსმანი
მიქაელ ლაუდრუპი
სოსლან ანდიევი
ვიქტორ გრიშკო
მარკ სმიტი
ჯერემი გასქოთი
ვალერი გაზაევი
ანდრეას მიოლერი
რიქარდ მიოლერ-ნილსენი
სტენ კასტენი
ბრიან ლაუდრუპი
შენოლ გიუნეში
რუდი ვატა
არმენ სარქისიანი
ფლემინგ პოლსენი...

# სარბიელი 1995

გამოვიდა 87 ნომერი - ქართული სპორტული პრესის წლიური რეკორდი

გაზეთის თანამშრომლების უცხოურმა მივლინებებმა შეადგინა 212 დღე - ქართული პრესის წლიური რეკორდი

## ჩვენს გაზეთის მეშვეობით შეიტყვეთ სპორტის 49 სახეობის ამბები: დაწყებული ფეხბურთით და მამლების ძიძგილაობით დამთავრებული

გამოქვეყნდა 300 ინტერვიუ 211 კაცთან

წლეულს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა რეპორტაჟები უცხოეთიდან შემდეგი შეჯიბრებებისა და მოვლენების შესახებ:

უიმბლდონის ტურნირი
ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები
საქართველოს ოლიმპიური გუნდის წინასაოლიმპიადო მზადება
*NBA*-ის ლოკაუტი
ლილიან რონკეტის თასი
ევროპის ქალაქების თასი ხელბურთში

... და ფეხბურთი:

მსოფლიო 1998 წლის ჩემპიონატის წილისყრა
დსთ ჩემპიონთა თასი
უელსი — საქართველო
გერმანია — საქართველო
მოლდოვა — საქართველო
აზერბაიჯანი — საქართველო (ჭაბუკები)
სელტიკი — ბათუმი
ვლადიკავკაზი — ლივერპული
ლივერპული — ვლადიკავკაზი
სომხეთი — დანია
დანია — სომხეთი
ბრონდბიუ — რომა

საბავშვო ტურნირი „დანა კაპი“
ინგლისის, რუსეთის, დანიის და გერმანიის ჩემპიონატის მატჩები

და კიდევ:

ქინქლაძე — ინგლისში
არველაძეები — თურქეთში
ქართველები — ოსეთში

Atlanta 1996

# სარბიელი 1996

UEFA EURO 96 England

გაისად ორი უმთავრესი შეჯიბრება გველის: ატლანტის საზაფხულო ოლიმპიადა და ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ინგლისში. შემოდგომაზე კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც დაიწყება. ასე რომ, ჩვენს მკითხველებს არც გაისად მოვაწყენთ.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. XXI ტური
30 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — უიმბლდონი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ასტონ ვილა — შეფილდი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბლექბერნი — ტოტენჰემი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ბოლტონი — ქოვენთრი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| ჩელსი — ლივერპული | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ევერტონი — ლიდსი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ქუინზ პარკი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ნოტინგემი — მიდლსბრო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ვესტ ჰემი — ნიუკასლი | 3,6 | 2,9 | 1,5 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. XX ტური
30 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰართსი — სელტიკი | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| რეინჯერსი — ჰიბერნიანი | 1,15 | 3,1 | 7,0 |

ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური
1 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — საუთჰემპტონი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ლიდსი — ბლექბერნი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლივერპული — ნოტინგემი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| მანჩესტერ სიტი — ვესტ ჰემი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მიდლსბრო — ასტონ ვილა | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| შეფილდი — ბოლტონი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| უიმბლდონი — ევერტონი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| 2 იანვარი | | | |
| ნიუკასლი — არსენალი | 1,5 | 2,6 | 4,2 |
| ქუინზ პარკი — ჩელსი | 3,2 | 2,8 | 1,6 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური
1 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიბერნიანი — ჰართსი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| 3 იანვარი | | | |
| სელტიკი — რეინჯერსი | 2,2 | 2,4 | 2,4 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონპელიე — მეცი | 1,8 | 2,5 | 3,0 |

ესპანეთის ჩემპიონატი. XIX ტური
3 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — რეალ სოსიედადი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ტენერიფე — სანტანდერი | 1,3 | 3,2 | 4,4 |
| სალამანკა — ატლეტიკო | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| კომპოსტელა — სპორტინგი | 1,25 | 2,9 | 6,0 |
| ვალენსია — სევილია | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ბარსელონა — ესპანიოლი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ბეტისი — სელტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოვიედო — დეპორტივო | 2,4 | 2,5 | 2,1 |
| რეალი — ვალიადოლიდი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რაიო ვალეკანო — მერიდა | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბილბაო — სარაგოსა | 1,8 | 3,0 | 2,5 |

იტალიის ჩემპიონატი. XVI ტური
7 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — იუვენტუსი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ბარი — ინტერი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| კალიარი — პადოვა | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| მილანი — სამპდორია | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ნაპოლი — ლაციო | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| პიაჩენცა — უდინეზე | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| რომა — ფიორენტინა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ტორინო — პარმა | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ვიჩენცა — კრემონეზე | 1,3 | 2,7 | 6,0 |

ესპანეთის ჩემპიონატი. XX ტური 6-7 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილბაო — რეალ სოსიედადი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სანტანდერი — ალბასეტე | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ატლეტიკო — ტენერიფე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სპორტინგი — სალამანკა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სევილია — კომპოსტელა | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ესპანიოლი — ვალენსია | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სელტა — ბარსელონა | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| დეპორტივო — ბეტისი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| მერიდა — რეალი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| სარაგოსა — რაიო ვალეკანო | 1,15 | 3,1 | 7,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | 2-0 | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | | | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | | ■ | 4-1 | | 1-0 | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 2-0 | | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | 1-0 | | | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა §მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

**სწავლა სწარმოებს შემდეგი კატეგორიის მსმენელთათვის:**

იურისტები
ბუხჰალტრები და ფინანსისტები
მედიცინის მუშაკები
მასწავლებლები
დაზღვევის, მარკეტინგის, საცალო ვაჭრობის სპეციალისტები
საავტომობილო მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის მუშაკები
ენერგეტიკოსები
სამთო მოპოვების მრეწველობის მუშაკები
ნაოსნობისა და ტრანსპორტის მუშაკები
ელექტრონიკის სპეციალისტები
სასტუმროებისა და ტურკომპლექსის მუშაკები
სოფლის მეურნეობის სპეციალისტები
კვების მრეწველობის სპეციალისტები

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

# [ქ]ართული სპორტი 1995 წელს - ავიც და კარგიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე დიდი, თუმცა ხანმოკლე სიხარული - თემურ ქეცბაიას გოლი გერმანელთა კარში - ათი [წ]უთი ქვეყანა ჩვენი გვეგონა







## 11 ოქტომბერი

ყველაზე იღბლიანი დღე - ფეხბურთელებმა ბულგარეთი დაამარცხეს, კალათბურთელებმა - ბოსნია, მთამსვლელები კი დჰაულაგირზე ავიდნენ



**ყველაზე სამარცხვინო წაგება**

ფეხბურთი

მოლდოვა - საქართველო 3-2

რაგბი

პოლანდია - საქართველო 55-3

## შემოშველებული სიტყვა

# არის ასეთი გაზეთი

„სპორტ-ექსპრესი“ დიახაც რომ ცნობილი და სახელგავარდნილი გაზეთია ესენგეს მასშტაბით. ჩვენც, სპორტის მოყვარე ივერიელთაც არაერთხელ გადაგვიფურცლავს ეს ძაან ფორმატისა და ძაან ხარისხის რუსული გაზეთი, რომელსაც მთელი ძველი საბჭოეთის სპორტული დაკმაყოფილება განუზრახავს.

დიახაც, მძლავრი და ოპერატიულია ეს „სპორტ-ექსპრესი“, რა გინდა რომ იქ არ ეწეროს. ჯერ მარტო რუსეთის ჩემპიონატი იმგვარი პომპითა და ფოიერვერკითა შუქდება, რომ ეს უაზრო ბურთის გორება და წიხლაობა ლამის ტიტანთა შერკინებად წარმოგიდგება. პერეტურინი ამბობს, ჩვენს ჩემპიონატს ვერ კი ვუცქერო, ესენი კი ყოველი თვის ბოლოს ამ უგვანო ბურჭალობის იდეალურ ნაკრებს ადგენენ, გეგონებათ და დიდი სხვაობა იყოს ორ მარჯვენა მცველს, პარკეტოვსა და ახმედკულიევს შორის. მოკლედ, რეკლამირება ეხერხებათ: აქაოდა, ჩვენი გაზეთი ისეთივე დიდია, როგორც დედა რუსეთიო, ისინი ძველ მოძმე ერებსაც უშუქებენ საბურთაო საქმეებს.

ჩვენ, ქართველნიც, ამათ რიგში ვართ და ჩანს, ჩვენებური სპორტის ხალხსაც ხიბლავს ეს გაზეთი, ენდობა მას. თუკი რამ ხმამაღალს და მოულოდნელს გაიგებს ჩვენი მკითხველი ქართული სპორტის ბობოლათაგან, ისევ ამ გაზეთის წყალობით. ატყდება, ჰაი, ჰაი, მაგრამ ბობოლანი იტყვიან, ჩვენ არაფერი გვითქვამს, „სპორტ-ექსპრესმა“ მოიგონაო. გახსოვთ კუტივაძის ინტერვიუ, ან ჩივაძის ბოლო პრეს-კონფერენცია?

არ ვიცი, იგონებს „სპორტ-ექ-

*

სიამაყითა და ხოტბით მხოლოდ იმ ქართველებზე წერს, ვისაც რუსული მაისური და ხელთათმანი მოურგია. სხვათა მიმართ კი ეშმაკურ ხერხს მიმართავს.

აი, ერთი თვე არ არის ალბათ, რაც ამ ფართე გაქანების გაზეთმა დაბეჭდა ინტერვიუ გიორგი ქინქლაძესთან, წინ კი ჩვეული შესავალი წაუმძღვარა, ქინქლაძე კი თამაშობს იქო, მაგრამ იმის გუნდს ჯერ ქულაც არ აუღია და თვითონაც ხომ ვერაფერს გახდა ბევრსო. მოკლედ, ქართველს წესიერი ვინ მიიღებს სადმეო, ასეთი აქცენტი იყო. სამაგიეროდ, სეზონის დასაწყისში რევიშვილის ნათამაშევი ორი შეხვედრის გამო ლამის პოემები დაიწერა. რევიშვილს კი არ ვუმცირებთ ღვაწლს, მაგრამ, მას რომ მთელი ალბონი ნორმანივით დაეპყრო, „სპორტ-ექსპრესი“ ბევრს არას გაიმეტებდა მისთვის.

ამ ინტერვიუს გამოსვლიდან ორიოდე დღის შემდეგ ეს ჩვენი ქინქი პრემერ-ლიგის თვის ლაურეატად აღიარეს, „სიტის“ მწვრთნელი ალან ბოლი თვის მენეჯერად და მთელი ამბავი, - „სპორტ-ექსპრესი“ კი ამ საქმეს ყაზახ-ბორჩალოს ქარს ატანს - ბოლო ადგილიო.

როგორ დაიჯერებ, რომ გაზეთმა, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის მთლად გულისგულს აღწერს, ეს არ იცოდეს? იცის, ამიგო. მაგრამ ჯერ ჩვენაო, მერე - თქვენაო. ყელზე ადგათ ჩვენი ორი კინკილა ვარსკვლავი.

საერთოდ კი, ამ გაზეთში ძალიან ბევრი წერია ხოლმე ვერეტენნიკოვზე, სიმუტენკოვზე და ასეთ ტიპებზე - ესენი დევგმირები არიანო. ვეჭვობ, ისინი მანჩესტერის ქიმბოჭკოს ქარხნის დუბლში გაატარონ.

**გოგი ახვლედიანი,**
მესვეტე

---

რაგბი

# მოვუფრთხილდეთ ამ ხალხს!


გოჩა აბაშიძე


პაატა ნარიმანაშვილი


ლევან მგელაძე

ისინი ყოველ ფოტოზე უკანა პლანზე ჩანან, გაფაციცებულნი რომ შესცქერიან მობურთალთ და ნიადაგ იმის ცდაშიც არიან, გამოზომილი სტვენით ბიჭებს თამაში რომ აცალონ.

სანაცვლოდ იმკიან მცირედ ჰონორარსა და მორაგბეთა და, მეტადრე, მწვრთნელთა ყოვლად დაუმსახურებულ რისხვასა თუ ბრალდებებს.

წყენა ხანდახან იმდენად გაუსაძლისი ხდება, რომ რომელიმე მათგანი მცირე ხნით გულს აიყრის საქმეზე და განზე გადგება, მაგრამ გამოხდება ხანი და ისევ მიუბრუნდება მოედანს, რადგან უმსაჯოდ ვერ იარსებებს რაგბი - თამაში, რომელსაც ჩვენი მსაჯები უანგაროდ ემსახურებიან.

ამიტომაა, ამ ხალხის მოფრთხილება ქართულ სარაგბო თემს ათმაგად რომ მართებს!

**წლევანდელი ნამსაჯი**

| | I ჯგ. | II ჯგ. | სულ |
|---|---|---|---|
| პაატა ნარიმანაშვილი* | 19 | 11 | 30 |
| ლევან მგელაძე | 10 | 13 | 23 |
| გოჩა აბაშიძე | 9 | 11 | 20 |
| დიმიტრი ფულარია | 7 | 7 | 14 |
| რამაზ ბერაძე | 3 | 9 | 12 |
| ავთო ლიბრაძე | 3 | 5 | 8 |

*კიდევ 6 კაცმა ერთად იმსაჯა 16 მატჩი, ნარიმანაშვილის მონაგარში კი ჩათვლილია სინის ნათლობის მატჩი და შეიდკაცა.

---

# რაგბში წარჩინებულნი



საქართველოს რაგბის კავშირმა "ოქროს მედლებით" დააჯილდოვა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის - ქუთაისის "აია-ჰეის" წევრები:

ნიკა აბდალაძე, ზურაბ აფრიდონიძე, დათო აშვეთია; გუგა ბაბუნაშვილი, თემურ ბარდაველიძე, შოთა ბზიკაძე; ემზარ გეგუჩაძე, ავთო გიორგაძე, ავქსენტი გიორგაძე, ზვიად გოგისვანიძე; გიორგი ღვალიძვილი, სოსო დიაკონიძე (მწვრთნელი); დიმიტრი თედოშვილი; დათო იობიძე, ალექსანდრე ისაკაძე, დუგლას კავთელაშვილი (უფროსი მწვრთნელი), დათო ლევიძე, ზვიად ლიპარტელიანი; თემურ მინდიაშვილი (ექიმი), საშა ნაჭყებია, თამაზ ოდიშარია, ზურაბ რეხვიაშვილი; რამაზ სვანიძე (უფროსი მწვრთნელი), მირზა სოფრომაძე, თენგიზ ტურძელაძე, პაატა ტყაბლაძე, გელა ფირცხალავა, თამაზ ფხაკაძე, ემზარ შანიძე, ბადრი შვანგირაძე; თემურ ჩეჩელაშვილი (პრეზიდენტი), გიორგი ჩუბინიძე, გიზო ცქიტიშვილი (მწვრთნელი), ემზარ ძაგნიძე, ნუგზარ ძაგნიძე, პაატა ძოწენიძე, ბათლომე ხამაშურიძე - სულ 37 კაცი.

## რაგბის ნაღდ ქომაგებსა და ძვირფასი წიგნების შემგროვებლებს!

საქართველოს რაგბის კავშირი და ქეიფთაუნის საშუამავლო ფირმა "ინოვეთივ სპორტს მარკეტინგი" გთავაზობენ წლევანდელი მსოფლიო თასის ამსახველ ალბომს, რომელიც სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირისა და ქვეყნის სპორტის მინისტრის მიერაა მოწონებული.



160-გვერდიანი წიგნი დაბეჭდილია 135-გრამიან ცარცის ქაღალდზე და ზომით თაბახს ემთხვევა. ტექსტის ავტორები ცნობილი სამხრეთაფრიკელი ჟურნალისტები პაულ დობსონი და დან რეტიფი არიან. ფოტოგრაფია ფერადი და საუცხოოა, სტატისტიკა კი - ზუსტი და ამომწურავი. ალბომს წამძღვარებული აქვს ნელსონ მანდელას დალოცვა და ავტოგრაფი.

წიგნის ფასია 150 რანდი. თუ მოთხოვნა 100-ს აღემატება, ფასი დაიკლებს 135 რანდამდე, მინიმუმ 200 ან 300 წიგნის შეძენისას კი - შესაბამისად 120 და 105 რანდამდე.

წიგნების სამხრეთი აფრიკიდან ჩამოტანის ხარჯს კისრულობს საქართველოს რაგბის კავშირი.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს 1 მარტამდე შეუძლიათ შეეხმიანონ რაგბის კავშირის ოფისს შემდეგი ტელეფონებით: 29 47 54 და 29 47 63

---

# ჭოროლი

როგორც ინგილო ეთნოგრაფმა მამია ენუქელმა მოიკვლია, საქართველოში ძველად გავრცელებული ყოფილა ერთგვარი თამაშობა, ჭოროლი რომ რქმევია და ტყუპისცალივით ჩამოჰგავდა დღევანდელ ბალახის ჰოკეის.

თანამედროვე ჭოროლის წლევანდელი საერთაშორისო სეზონი საგაისო - ატლანტის ოლიმპიადისათვის სამზადისი იყო.

ვაჟებში ერთობ დაწინაურდა ოლიმპიური ჩემპიონი გერმანია. მან ჯერ დუბლინში ევროპის ჩემპიონობა წაართვა ჰოლანდიას, მერე კი ბერლინში ავსტრალიის ძლევით ექვსი მოწინავე გუნდის შეჯიბრიც, ე.წ. ჩემპიონთა თასიც მოიგო.

ქალებში მსოფლიოს ჩემპიონმა ავსტრალიამ სამხრეთი კორეის არგენტინაში ჯობნით ჩემპიონთა თასიც მოიპოვა. სამაგიეროდ, კორეამ ყველას აჯობა ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში, ქეიფთაუნში რომ უაიმართა.

ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირში 12 გუნდი იასპარეზებს: აშშ (მასპინძელი), გერმანია (ჩემპიონი), პაკისტანი (მსოფლიოს ჩემპიონი), სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია, სამხრეთი კორეა და არგენტინა (რეგიონული ჩემპიონები). დანარჩენი ხუთი მონაწილე იანვარში შეირჩევა ბარსელონაში, სადაც რვა გუნდი იასპარეზებს.

ქალთა ოლიმპიურ ტურნირს რვა მონაწილე ეყოლება: აშშ (მასპინძელი), ესპანეთი (ჩემპიონი), ავსტრალია (მსოფლიოს ჩემპიონი), ჰოლანდია (ევროპის ჩემპიონი), აგრეთვე შესარჩევი შეჯიბრების მოწინავენი: კორეა, ბრიტანეთი, გერმანია და არგენტინა.

ატლანტა აპრილში ბოლო წინაოლიმპიურ ტურნირებს უმასპინძლებს. აგვისტოში უკვე გაიმართა ანალოგიური შეჯიბრება და მონაწილენიც უკმაყოფილონი დარჩნენ ოღრო-ჩოღრო მოედნებით, რომლებიც ამერიკული ბურთაობისა ყოფილიყვნენ.


ჰოლანდიე... ჯობნი გერმანელებ... ვარ გუნდურ ალერსს ...ეცნენ

## ზანგური ამბები

ნაშობავებს "ჩიკაგო ბულზს" ხელი მოეცარა - ერთი თამაშიც რომ მოეგო, ნბა-ში ზედიზედ გამარჯვებების რეკორდს გააუმჯობესებდა, მაგრამ მიყოლებით 13 მეტოქის მძლეველი "ხარები" ველარ მოერივნენ "ინდიანა პეისერზს" და 97:103 წააგეს.

რაც შეეხება ცნობილ საკალათბურთო ცირკ "ჰარლემ გლობტროტერსს", მან 50-წლიანი შესვენების შემდეგ აიყვანა არაზანგი მოთამაშე, პიტსბურგის უნივერსიტეტის 22 წლის კურსდამთავრებული ორლანდო ანტიგუა, ვისაც ამ შვიდი წლის წინ კუდიანების დღესასწაულის ღამეს თავში ტყვია დაახალეს, მაგრამ რომ მომჯობინდა და დიდ კალათბურთს მაინც დაუბრუნდა, ამ სპორტზე მწერალთა ასოციაციამ შარშან "უმამაცესი მოთამაშის" ტიტული მიანიჭა. როგორც "გლობტროტერსის" მეპატრონესა და თავმჯდომარეს ბენი ჯექსონს უთქვამს, ორლანდო პიროვნებაა და ნებისყოფაც მოსდევს, ამიტომ ჩვენს შოუში ალბათ კარგა ხანს დარჩებაო, ხოლო წინა ჰარლემელი თეთრი ყოფილა ბობ კარსტენსი, ვინაც ზანგურ ცირკში 1942-43 წლებში ირიცხებოდა.

---

## აქეთური, იქითური

გერმანელ ჩოგბურთელ ბორის ბეკერს გამოუცხადებია, რომ ატლანტაში არ იასპარეზებს, ვინაიდან მანამდე საფრანგეთისა და ბრიტანეთის ღია პირველობებია და მათში თამაში ერთობ დამღლისო. არადა, ბეკერი ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონია წყვილთა თანრიგში. სამაგიეროდ, ჩოგბურთელი აგრიქელა ჯაფ ანრაპგი დაუშვებს ახალი წლის პირველ დიდ სლემის ტურნირზე - ავსტრალიის ღია პირველობაზე, რადგან წელს უიმბლდონში ფრანგი მსაჯის ...ს და მერე კორტიდან გაქცევისათვის ...ანს ბოდიში მოუხდია.

*

დღეს გამთენიისას დაწინაურებული იახტები უწევდნენ ტასმანიის დედაქალაქს. ისინი სიდნეი - ჰობართის 51-ე, 630-საზღვაო მილია რეგატაში მონაწილეობენ. 26 დეკემბერს სიდნეის ბოღაზში ათასობით მოსეირე შეიკრიბა სტარტის საჭვრეტად. ფინიშისაკენ 98 იახტამ დაიჭირა გეზი. რუპერტ მერდოქის "სიენორამ", რომლის აღჭურვაც ავსტრალიელ მედია-მოგულს 20 მილიონი დოლარი დაუჯდა, დუნედ დაიწყო, მაგრამ მალევე 10 კვანძი სიჩქარე განავითარა და პირველსავე ტივტივასთან 40 წამით მიასწრო მარშანდელ შეჯიბრში მეორე ადგილზე დარჩენილ "ბრინდებელას". "სიენორას" კაპიტან ჯეფ სტეგს დაუქადნია, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავაუმჯობესოთ ამერიკული "პიენორის" 1975 წლისეული რეკორდი, 2 დღე-ღამეს, 14 საათს, 36 წუთსა და 15 წამს რომ უდრისო. მართლაც, მერდოქის ეკიპაჟი ოთხშაბათ საღამოს 3 მილით უსწრებდა "ბრინდებელას", ხუთშაბათ შუადღისას სხვაობამ უკვე 21 მილი შეადგინა, მაგრამ სარეკორდო გრაფიკთან შედარებით გაირკვა, რომ იმავე დროში "პიენორს" მაინც ერთი მილიც მეტი გაეცურა.

*

ამერიკული ბურთაობის ... "ნიუიორკ ჯაიანთსმა" 75 ქომაგს ჩამოართვა წლიური აბონემენტის შეძენის უფლება. მიზეზი ისაა, რომ ამათი აბონემენტებით სეზონის ბოლო თამაშზე შებრძანდნენ ხულიგნები და მეტოქე გუნდი თოვლის გუნდებით დააყუმბარეს, რის შედეგადაც 15 კაცი დაშავდა, 175 კი პოლიციამ სტადიონიდან გააძევა. გაზეთები აქვეყნებენ იმ ვაიგულშემატკივრის ფოტოსურათსაც, სტუმარი გუნდის მენეჯერს თავი რომ გაუტეხა და საზოგადოებას მოუწოდებენ, ხულიგანი დაგვაჭერინეთო.

*

მორიგი მინი-სკანდალია კრიკეტის სამყაროში. 26 დეკემბერს მელბურნში სამობათ ტესტი გააჩაღეს ავსტრალიამ და შრი-ლანკამ, მაგრამ სტუმართა მომწოდებელმა მუთაიარ მურლიტარანმა ერთი ... მანძილზე ბურთი შეიდჯერ რომ ტყორცნა აჭს, ჯერ მსაჯულთა რისხვა დაიმსახურა, იმავ საღამოს კი გუნდი კრიკეტის საერთაშორისო საბჭომაც გააფრთხილა. საქმე ასეა: კრიკეტში ტყორცნა იმავე რანგის მერეხელობაა, რაც სხვა თამაშებში ფურთხება და მუშტი-კრივი.

---


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით.

ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ მეძველია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

სარედაქციო კოლეგია:

**ილია ბაბუნაშვილი**
**ზაალ გიგინეიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
**მამუკა კვარაცხელია**
**მერაბ რატიშვილი**
**მამუკა ჩიხლაძე**
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

გამომცემელი
**ზურაბ ფოცხვერია**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29